

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს საზედამხედველო კომიტეტის საქმიანობის ანგარიში

პერიოდი: 2015 წლის სექტემბერი - 2015 წლის ნოემბერი

შესავალი: ანგარიშში მოცემულია საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს საზედამხედველო კომიტეტის მიერ 2015 წლის სექტემბერ - ნოემბერში განხორციელებული აქტივობები. აღნიშნული მოიცავს:

- საველე ვიზიტი თანადგომის ოფისში თელავში;
- პროექტის განმახორციელებელ გუნდის და ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს მონაწილეობით ჩატარებული პროექტების განხორციელების ჩარჩოს, დემბორდის განხილვისადმი მიძღვნილი ორი შეხვედრა;
- ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სხდომა, რომლის მსვლელობისას საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარემ წარადგინა საზედამხედველო კომიტეტის აქტივობების ანგარიში და დემბორდის ანალიზის შედეგად შემუშავებული საზედამხედველო კომიტეტის რეკომენდაციები;
- ზუგდიდსა და ბატუმში საველე ვიზიტის განრიგის დაგეგმვა.

#### საველელე ვიზიტი:

22 სექტემბერს ჩატარდა საზედამხედველო ვიზიტი თელავში მდებარე თანადგომის ოფისში.

ვიზიტის ამოცანები იყო: გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე შიდსის პროექტის მიმდინარეობის სტატუსის შეფასება; ბენეფიციარების პრევენციული პაკეტით მოცვის საკითხის შესწავლა; ახალი მიდგომების, სტრატეგიების, თემის გააქტიურების საკითხების განხილვა ინდიკატორის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. კომერციულ სექს-მუშაკებში და MSM- ებში პრევენციული პაკეტის მოცვის ინდიკატორების გაუმჯობესების გზების მოძიება. ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება გლობალური ფონდის პროექტების განხორციელებაში ჩართულ თანამშრომლებთან და ბენეფიციარებთან.

*შენიშვნა: ვიზიტის ამსახველი ოქმი, მათ შორის საზედამხედველო კომიტეტის დასკვნები გაზიარებულ იქნა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრებს შორის.*

კომერციული სექს-მუშაკი ქალების მოცვამ აივ პრევენციული პაკეტით შეადგინა 79% მე-4 პერიოდის მიხედვით. ქვე-კონტრაქტორმა გააუმჯობესა ინდიკატორის შესრულება და აღნიშნულმა 82%-ს მიაღწია 3 5-ის მიხედვით. MSM-ების მოცვა - 68% (P4), 73% (P5) და 106% (P6). ამრიგად დაფიქსირდა ორივე ინდიკატორის შესრულების გაუმჯობესება.

#### დემბორდის განხილვისადმი მიძღვნილი შეხვედრები

საზედამხედველო კომიტეტმა გააანალიზა მე-5 პერიოდის დეშბორდები 2015 წლის 16 ოქტომბერს. დეშბორდები მიეწოდა საბჭოს წევრებს.

მე-6 პერიოდის დეშბორდების განხილვისადმი მიძღვნილი შეხვედრა გაიმართა 2015 წლის 25 ნოემბერს. დეშბორდები გაზიარდა საბჭოს წევრებისადმი.

**აივ-ის დეშბორდი.** პროგრამული ინდიკატორი 1. მომატებული რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა, რომელსაც მიეწოდება აივ-ტესტირების და კონსულტირების სერვისები. მიმდინარე მაჩვენებელი - 86% Number of MARPs (IDUs, MSM and FSWs) covered with HIV testing and counselling (including provision of results) რეკომენდაცია: მაჩვენებელის შესწავლის და გაუმჯობესების გზების მოძიების მიზნით ჩატარდეს საზედამხედველო ვიზიტები ბათუმში და ზუგდიდში.

**ტბ. პროგრამული ინდიკატორი. Number of notified cases of all forms of TB - (i.e. bacteriologically confirmed +clinically diagnosed) (new and relapse).** მიმდინარე მაჩვენებელი - 69%. რეკომენდაცია: იკვეთება დამატებითი კვლევების საჭიროება, რომელიც განსაზღვრავს ტბ პაციენტების რაოდენობის ვარდნის მიზეზს. კვლევის დაგეგმვა წარიმართოს მჭიდრო თანამშრომლობაში დაავადებათა კონტროლის ცენტრთან.

### ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სხდომა

2015 წლის 27 ნოემბერს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს 81-ე სხდომაზე წარდგენილ იქნა მე-6 პერიოდის დეშბორდები და საზედამხედველო კომიტეტის რეკომენდაციები. საბჭოს წარედგინა და შეთანხმდა დეშბორდის ანგარიშგების პერიოდულობასთან დაკავშირებული ძირითადი მიმდებარე შემდეგი შემოთავაზება, რომელიც ერთის მხრივ არ არღვევს დეშბორდის კვარტალური ანგარიშგების პრინციპს და ამავდროულად გვთავაზობს ლოგიკურ ჩარჩოზე დაფუძნებულ პროგრამის მიმდინარეობის შეფასების შესაძლებლობას. არსებული პრაქტიკის თანახმად დეშბორდი კვარტალურად ივსება პროექტის განმახორციელებელი გუნდის მიერ. შესაბამისად, პერიოდები დეშბორდში ცალკეული კვარტლების მიხედვით არის მოწოდებული, რაც პროგრამული მიმდინარეობის თვალსაზრისით, იმდენად არ ასახავს რეალურ სურათს, რამდენადაც მიმდინარე გრანტის ფარგლებში სამიზნეები შეფასების ჩარჩოს მიხედვით სემესტრულად არის განსაზღვრული და დეშბორდისთვის უწევთ მათი ხელოვნური გაყოფა 1/2 პრინციპით. იმისათვის რომ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია უკეთესად ასახავდეს რეალურ სურათს და იძლეოდეს პროგრამის მიმდინარეობის უფრო დახვეწილი ანალიტიკის შესაძლებლობას, PR-ის პოზიცია მდგომარეობს შემდეგში:

დეშბორდის სამიზნეები თითოეული პერიოდისთვის ჩამოყალიბდეს როგორც შესაბამისი სემესტრული სამიზნე გლობალური ფონდის მიერ დამტკიცებულ პროგრამის შესრულების ჩარჩოს თანახმად. მიღწევების რეპორტიინგი განხორციელდეს სემესტრულად

კუმულაციურად, რაც გამოიხატება იმაში, რომ წლის პირველ და მესამე კვარტლებში მოხდება ამ უკანასკნელის განმავლობაში დაფიქსირებული მიღწევების ასახვა, ხოლო მეორე და მეოთხე კვარტლების დოკუმენტში მოხდება სემესტრული მიღწევების რეპორტიინგი (სემესტრული მიღწევა/სემესტრული სამიზნე), რაც თავის მხრივ სრულ შესაბამისობაში იქნება გლობალური ფონდის მიერ დამტკიცებულ და საკურატორის წინაშე წარდგენილ PU/DR (Progress Update And Disbursement Request) დოკუმენტთან. აღნიშნული ცვლილება შეეხება დეშბორდის მხოლოდ პროგრამულ ნაწილს. სახელდობრ - Programmatic Information, M6 - სექციის შემდეგ. ანგარიშგება განხორციელდება უცვლელად - კვარტალურად და ყველა სექცია (ფინანსები, მენეჯმენტი, შესყიდვები) უცვლელად დარეპორტდება კვარტალური ინფორმაციის საფუძველზე. რაც შეეხება სამიზნეების თითოეული პერიოდისთვის ჩამოაყალიბებას როგორც შესაბამისი სემესტრული სამიზნისა - აღნიშნული შეეხება მხოლოდ მეორე და მეოთხე კვარტალს (დამყარებულია იმ პრინციპზე რომ მიღწევები აღირიცხება სემესტრულად კუმულაციურად). რაც შეეხება პირველ და მესამე კვარტალს აქ დეშბორდის მიერ რეიტინგის მინიჭების სისტემიდან გამომდინარე სემესტრული სამიზნეების 50% იქნება დაფიქსირებული.

*ანგარიში მომზადებულია ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს მიერ.*

დავით ანანიაშვილი

საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე

აღმასრულებელი მდივანი